საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№452 2020 წლის 5 მარტი ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. მიეცეს უფლება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 73 000 (სამოცდაცამეტი ათასი) ლარიდან 63 000 (სამოცდასამი ათასი) ლარი მიმართოს სოფელ დიდვაკეში მდებარე 3 (სამი) მრავალბინიანი სახლის გადახურვის, ფასადებისა და აივნების სარეაბილიტაციო სამუშაოების დასაფინანსებლად, ხოლო 10 000 (ათი ათასი) ლარი – ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო მასალების შესაძენად.

2. ეთხოვოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტს, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, ამავე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული განკარგულების ფარგლებში წარმოქმნილი ფინანსური რესურსის შესახებ ინფორმაცია (თითოეული ღონისძიების მითითებით) წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**